


ს
5
3
0



პარასკევი,
ინანგარის 31.
(ანგარის 18).
1919 წელი.



დამოუკიდებელი ნაციონალური
პოლიტიკის ორგანო.

№ 20.
ფასი 50 კაპ.

ყოველ-დღიური
საღიერო-საქონლო
გაზეთი კლდე

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით
გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი.
კალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.
ბელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10
საათიდან 3 საათამდე.
კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სასახლის ქ. № 6
ტელეფონი № 18-31.

თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნები მოხდება

1919 წ. 2 თებერვალს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე — შემდეგ ადგილებში:

- 1-ე კომისარიატში
 - 1 საარ. უბანი — ქართულ უნივერსიტეტის შენობაში.
 - 2 " " საბურთალოს თეატრში.
 - 3 " " ქალაქის პირველ დაწვებით სასწავლებელში, ოლღას ქუჩა სახ. მაჩაბლისა, № 52.
 - 4 " " პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
 - 5 " " სამიწათმზომელო სასწავლებელში, გუნების ქუჩაზე.
 - 6 " " მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანასტასიას ქ.
- 2-ე კომისარიატში
 - 7 " " მინიატურის თეატრში, ს. მელიქ-აზარიანისა, ვერის რაღმ.
 - 8 " " არტისტულ საზოგადოების დარბაზში, გოლოვინის პრ.
 - 9 " " ღარიბთა თავშესაფარში, ზუბალოშვილის სახლი, სასამართ. ქ.
 - 10 " " თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში.
- 3-ე კომისარიატში
 - 11 " " პირველ ქალთა გიმნაზიაში.
 - 12 " " სამოქალაქო სასწავლებელში, ს. აფრიკინისა.
 - 13 " " სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშვილისა.
- 4-ე კომისარიატში
 - 14 " " სახელოსნო გამგეობაში.
 - 15 " " მანთაშვილის ქარვასლაში, სომხის ბაზარი № 62.
 - 16 " " სომხების საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში, აბასაბა-ლის მოედანზე.
- 5-ე კომისარიატში
 - 17 " " შაჰმადიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზედ.
 - 18 " " პუშკინის საქალაქო სკოლაში, ვორონსკოვის ქუჩაზედ.
 - 19 " " ტოლდის ქარხნის კონტორაში, ვორონსკოვის ქუჩაზედ.
- 6-ე კომისარიატში
 - 20 " " ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რეიტერის ქუჩაზედ.
 - 21 " " ქალაქის ახალ სასკოლოს კანტორაში.
 - 22 " " ძმათა ტ. აბრამოვების ნავთის ამხ. კანტორაში, კახეთის ქ.
 - 23 " " სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ. № 46.
 - 24 " " მურაშკოს თეატრში, თელავის ქუჩაზედ.
 - 25 " " ცარიელ დუქანში, კახეთის ქუჩაზედ, სადაც იმყოფებოდა მოსამსახურეთა ეკონომ. საზოგადოების განყოფილება.
- 7-ე კომისარიატში
 - 26 " " არაკიანის თეატრში.
 - 27 " " ავლაბრის გიმნაზიაში.
 - 28 " " ცარიელ მღაზიაზე. კუთხე ლაზარევისა და ხივის შეს. ს. მანუკოვისა № 57.
 - 29 " " მარინეს საეკლესიო სკოლაში.
 - 30 " " ავლაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქუჩა.
- 8-ე კომისარიატში
 - 31 " " ალტმანის სახლში, კუთხე პროექტიროვანის და კახეთის ქქ.
 - 32 " " მადაკების საზოგადოების სკოლაში, დესიმონოვის მოედ.
 - 33 " " მე-4 მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
 - 34 " " პირველ კომერციულ სასწავლებელში, 19 თებერვლის ქ.
- 9-ე კომისარიატში.
 - 35 " " პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზი-შვილის ქუჩა № 29.
 - 36 " " მუშათა კლუბში, ერთობის უბანი.
 - 37 " " მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილ. ტურგენევის ქ.
 - 38 " " კათოლიკურ საეკლესიო სკოლაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ.
 - 39 " " სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ.
- 10-ე კომისარიატში
 - 40 " " ავქალის აუდიტორიაში.
 - 41 " " ენფენჯიანის თამბაქოს ქარხნის კანტორაში, ვოვლის ქ.
 - 42 " " 2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარაუზის კლუბი) მიხეილის პრ.
 - 43 " " ზუბალოშვილის სახლობო სახლში. კირონი ქუჩაზედ.
- 11-ე კომისარიატში
 - 44 " " საკვირაო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და პავლოვსკ. ქ.
 - 45 " " სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა, ს. ბოტატისი.
 - 46 " " ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ.
 - 47 " " სასურსათო დუქანში ს. მეტეხელის.
- 12-ე კომისარიატში
 - 48 " " რკინის გზის სამოქ. სასწავლებელში, შერვტევის ქ. ცხრაი.
 - 49 " " რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში.
 - 50 " " ყოფ. საჯიროთა მოედნის კანტორა.
 - 51 " " ავქალის წყალ-სადენი.

ს ი ა № 8


დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

- 1. ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგისძე; პარლამენტის წევრი, გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.
- 2. ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს; ძე პარლამენტის წევრი; განათლების კომის. წევრი.
- 3. ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
- 4. გაბაშვილი რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი, გზათა კომისიის წევრი.
- 5. მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი, აგრარულ კომისიის წევრი.
- 6. ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, პარლამენტის ყოფ. წევრი.
- 7. ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე; პროფესორი.
- 8. სარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.
- 9. გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-ქიმიკოსი, კომერსანტი.
- 10. ორბელიანი გიორგი ილიას ძე; გენერალი.
- 11. ჯანდიერი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე; ექიმი.
- 12. ელიაშვილი ივანე სპირიდონის ძე; ექიმი.
- 13. კაპანელი (ქანტურია) კონსტანტინე გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
- 14. ეკალაძე ია. (კინცაძე) იაკობ თომას ძე; ლიტერატორი.
- 15. ლოლობერიძე დავით სიმონის ძე; კოოპერატორი.
- 16. კვლენჯერიძე დავით ბესარიონის ძე;
- 17. ციციშვილი ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა „კავშირის“ წევრი.
- 18. იშხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
- 19. ლუღუშაური ბართლომე; მღვდელი.
- 20. ივანიცი ტარასი; დეკანოზი.
- 21. მამრაცე გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
- 22. სიღამონ-ერისთავი ვალერიან; მხატვარი.
- 23. ნიჟარაძე რაფაელ; პედაგოგი.
- 24. კიკაბიძე ლადო სპირიდონის ძე; სტუდენტი.
- 25. ქასრაშვილი კსენეფორე ნიკოლოზის ძე; მეურნე.

ს ი ა № 8

«საქართველოს ეროვნული პარტიისა»
თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში

- 1) ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე; პარლამენტის წევრი; გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.
- 2) ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
- 3) ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათლების კომისიის წევრი.
- 4) გაბაშვილი რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; გზათა კომისიის წევრი.
- 5) მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი; აგრარულ კომისიის წევრი.
- 6) ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე; პარლამენტის ყოფ. წევრი; ექიმი.
- 7) სარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.
- 8) გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-ქიმიკოსი; კომერსანტი.
- 9) ციციშვილი ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა კავშირის“ გამგეობის წევრი
- 10) იშხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
- 11) მამრაცე გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
- 12) მგალობლიშვილი ივანე პაატას ძე; ბანკის დამფუძნებელი.
- 13) ერისთავი რევაზ იასონის ძე; მეურნე.
- 14) მაჩაბელი სოლომონ ვახტანგის ძე; მეურნე.
- 15) ჩოლოყაშვილი სოლომონ მიხეილის ძე; აგრონომი.
- 16) ცაგარელი ივანე ანტონის ძე; სახლის პატრონი.
- 17) კალატოზიშვილი კოტე ვასილის ძე; მეურნე.
- 18) ციციშვილი ალექსანდრე დავითის ძე; მეურნე.
- 19) ყვავრიშვილი ნიკოლოზ იოსების ძე; აგრონომი.
- 20) იმნაიშვილი გერასიმე; პედაგოგი.
- 21) ნიჟარაძე რაფაელ; პედაგოგი.
- 22) კიკაბიძე ლადო სპირიდონის ძე;
- 23) სონღულაშვილი იროდიონ თომას ძე; მწერალი.



წ მ რ ი ლ ე მ ბ ი

საარჩევნო პლატფორმა საქართველოს ეროვნული პარტიისა. შ. ქარუმიძის სიტყვა პარლამენტში მიწის საკითხის შესახებ.

საქართველოს ეროვნული პარტიის საარჩევნო პლატფორმა.

მამულიშვილნო!

ეროვნული პარტიის ლოზუნგია „საქართველო გერქართველებსათვის“!

ეროვნული პარტია იცავს მტკიცედ კერძო საკუთრების ხელუხლებლობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მიწის საკითხი გარდაწყდეს სახელმწიფო, და არა ყაჩაღური წესით.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მამულის ჩამორთმევა მოხდეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროა სახელმწიფო მოსაზრებით (ქართველ გლეხობის დასახლებისათვის).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნორმა მიწის მფლობელობისა გადიდებულ იქნას ყოველგან ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ჩამორთმეულ მიწაში მამულის ბატონს მიეცეს მისი ფსი.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნებადართული იქნას მიწის კერძოდ ყიდვა-გაყიდვა (ქართველებსთვის).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ უცხოელებს (ოსებს, სომხებს, რუსებს) აკრძალოს მიწის შეძენა საქართველოში სანამ არ დაკმაყოფილება ქართველი გლეხობის საჭიროება (თავდაპირველად მიწა უნდა მიეცეს ჯარში ნამსახურ ქართველებს).

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც ერთ სოციალისტურ პარტიას: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ფედერალისტები, რევოლუციონერები ყველა ბოლშევიკური ჯურის ხალხი, და სულ სხვისი საკუთრების წართმევაზე ფიქრობენ; გერ სოფელს მოტრეხავენ, მერმე ქალაქის შესაჯურებს მისდებებიან!

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც № 2-ს „ეროვნულ-დემოკრატებს“ (გაზეთ „საქართველოს“) არც რადიკალ-დემოკრატებს და არც უპარტიო დამოუკიდებლებს ესენი ყველა მენშევიკების მახინჯი პარტიებია, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა მათ არა სწამთ და ამიტომაც ხელი მოაწერეს ნ. ხომერკის დასამიწებელ კანონებს.

მამულიშვილნო. მხოლოდ „საქართველოს ეროვნული პარტია“, დაიცავს მტკიცედ, ისე როგორც „კლდე“ სახელმწიფოებრივ პროგრამას.

მიწის საკითხი. შ. ქარუმიძის სიტყვა პარლამენტში.

აგარული კანონმდებლობის მთავარი აზრი უნდა იყოს შეტანა ჩვენ მეურნეობაში ისეთი ახალი ურთიერთობისა, რომელიც მენტაცოვრებელ რესურსებს მისცემს ჩვენ ნორჩ სახელმწიფოს და რომელიც შეუწყობს ხელს ახალი, ინტენსიური მეურნეობის განვითარებას ჩვენში. თუ სახელმწიფო იძულებული ხდება დაარღვიოს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი კერძო საკუთრება, ძალით და შეუცვალოს მიწის დღევანდელი მესაკუთრე და პატრონი მხოლოდ იმიტომ უნდა ხდებოდეს ეს, რომ დაამყაროს ისეთი მიწის მფლობელობა, რომელიც უფრო შეეგუება თანამედროვე განვითარებულ სამეურნეო ტენიკის და კოდნის მოთხოვნილებას.

ამ მთავარი მიზნის შესახებ ჩვენ ყველანი ერთი აზრისანი უნდა ვიყოთ. ერთი აზრისანი უნდა ვიყოთ აგრეთვე იმაშიაც, რომ როდესაც სახელმწიფო აბდენს ასეთს ძირითად რეკომენს, იგი მოვალეა დიდი სიფრთხილით მოექცეს, იგი

ც ნ მ ბ ე ბ ი.

გერმანიის აფრიკის ახალშენებს საფრანგეთს აძლევენ.—ინგლისში და სამხრეთ ამერიკაში ბოლშევიკები საყოველთაო გაფიცვას აწყობენ.—ყარსიმაჰმადიანთა მთავრობამ ჩაიგდო ხელში და ეხლა ახალციხეს გვედავება.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მოსაპოილ იქნას მონაპოლისტებისა და სპეკულიანტების პრივილეგიები და ქართველ ვაჭარ-მწევრებს საშუალება მიეცეს წესიერად აწარმოვოს თავისი საქმე.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ მოხდეს სრული ნაციონალიზაცია ყველა დაწესებულებათა (თავდაპირველად ფილისის ქალაქის თვითმართვლობისა) და თანამდებობანი, რომელიც უცხოელებს აქვთ დაკავებული, გადაეცეს ქართველ მოხელეებს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი, მთლიანი სამხედრო ძალა—მუდმივი რეგულიარული ჯარი; ყოველივე სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარდია უნდა გაუქმდეს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ლაქული იქნას უკლები ისა და სამღვდელთა კონტრივი დავლათი და მთავრობა მეტის პატრის ცემით მოეწყოს ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს.

მოვალეა გაითვალისწინოს ასევე მთელი და ნამდვილი სურათი მეურნეობისა, შეამჩნიოს მისი სადი და ცოცხალი მიმდინარეობანი და მოვლენანი და თავისი აგარული რეფორმით შეუწყოს ხელი მათ გაძლიერებას. ჩვენ კანონ-პროექტსაც კარგათ უნდა ჰქონდეს აწონილი ჩვენი დღევანდელი ეკონომიური ვითარება. კარგათ უნდა ჰქონდეს შეზღვეული სადი მოვლენანი ჩვენი მეურნეობისა, მას უნდა უფარდებდეს მიწის ახალს განაწილებას და მანე უნდა ჰქონდეს აშენებული თავისი იმედები. ჩემმა ფრაქციულმა ამხანაგებმა ციურებით ხელში, ცხოვრების სრული სურათის გადავლით დაგისაბუთეს თქვენ ამ კანონ-პროექტის უფარგისობა და მიუღებლობა სხვა მხრივ და მეც უნდა მოგახსენოთ, რომ ეკონომიურის თვალსაზრისით; რომლითაც მე უნდა შევეხო კანონპროექტს ჩვენი მეურნეობის ინტერესის მიხედვით, იგი არ ვარგა და ნაცვლად აყვებებისა მან უკვე სიკვდილის ცელით გაიარა ჩვენ მეურნეობაზე და სრულს დაღუპვას უქადის მას განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში.

მოვალეა გაითვალისწინოს ასევე მთელი და ნამდვილი სურათი მეურნეობისა, შეამჩნიოს მისი სადი და ცოცხალი მიმდინარეობანი და მოვლენანი და თავისი აგარული რეფორმით შეუწყოს ხელი მათ გაძლიერებას. ჩვენ კანონ-პროექტსაც კარგათ უნდა ჰქონდეს აწონილი ჩვენი დღევანდელი ეკონომიური ვითარება. კარგათ უნდა ჰქონდეს შეზღვეული სადი მოვლენანი ჩვენი მეურნეობისა, მას უნდა უფარდებდეს მიწის ახალს განაწილებას და მანე უნდა ჰქონდეს აშენებული თავისი იმედები. ჩემმა ფრაქციულმა ამხანაგებმა ციურებით ხელში, ცხოვრების სრული სურათის გადავლით დაგისაბუთეს თქვენ ამ კანონ-პროექტის უფარგისობა და მიუღებლობა სხვა მხრივ და მეც უნდა მოგახსენოთ, რომ ეკონომიურის თვალსაზრისით; რომლითაც მე უნდა შევეხო კანონპროექტს ჩვენი მეურნეობის ინტერესის მიხედვით, იგი არ ვარგა და ნაცვლად აყვებებისა მან უკვე სიკვდილის ცელით გაიარა ჩვენ მეურნეობაზე და სრულს დაღუპვას უქადის მას განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში.

დიდი უბედურება სწორედ ის გახლავთ, რომ თქვენ, ბანო სოციალისტებო, აგარული რეფორმის განხორციელების დროს გაიწყლებათ სწორედ ის, რისთვისაც ეს აგარული რეფორმა ხდებოდა ხოლმე და უნდა მოხდეს დღესაც. თქვენი ნაღაპრაკევიდამ და ბან მინისტრის მოხსენებინდამ ცხადია მხოლოდ ერთი რამ, რომ თქვენ ახდენთ ამ რეფორმის რევილუციონური ლოზუნგების გულისთვის. გეწმრათ რევილუციონურ პროგრამაში მიწის წართმევა და თქვენც ართმევთ მიწას პეტრეს და აძლეეთ მავლეს მხოლოდ ამ რევილუციონური მოვლენების მოსახდენად, მიტინგებისა და კრებების დროს მიცემული ვექსილების გასანადღებლად. აი მიზანი თქვენი აგარული რეფორმისა, როგორ ურიგდება ეს მიზანი იმ მთავარ აზრს, რომლის გულისათვისაც უნდა მოხდეს აგარული რეფორმა—ეს თქვენ არ გაწყუბებთ!

სამინისტროს განმარტებითი წერილი, რომელიც წინ უძღვის კანონპროექტს, იშვიათი დოკუმენტი გახლავთ ამ მხრივ. იქ ყველაფერია, ისტორია ყველა რევილუციისა, მაგრამ სიტყვა არ გახლავთ იმანე, აუ როგორია დღევანდელი სახე საქართველოს მეურნეობისა, ან რა შეაქვს ამ მეურნეობაში მიწის საკითხის ასეთს გადაწყვეტას და რა იმედს იწვევს იგი? ეს არა სჩანს.

სამაგიეროთ არის მხოლოდ ორი სტრიქონი შეექვს გვერდზე და ეს სტრიქონებიც პოლიტიკის მსჯავრი გახლავთ ჩვენ შემაშულებებელ გაფანტულობულ პროპაგანდისტისა, რაც იქნება ძალიან სასარგებლო იყო მიტინგებზე, როცა გლეხებს ამხედრებდენ შემაშულებების წინააღმდეგ, მაგრამ რაც დღეს მინისტრის მოხსენებაში შეუფერებელი არის და დაუშვებელიც.

მოხსენების სიტყვი-საქართველოს მეურნეობა მთლათ პრიმიტიულია—„სავლენო“ მათის ტერმინით, ჩვენ ვეთანხმებით, რომ ჩვენი ქვეყანა არ არის მოფენილი ამერიკული ფერმებით მაგრამ ასეთი მსჯავრიც შეუწყნარებელია ასე რომ იყოს საკითხავია რამ შეინახა დღემდის საქართველო, მოკლებული ქალაქური ხასიათის წარმოებას, მთლათ გამოდგენილი ადგი-მიცემობიდან და თანაც პოლიტიკურათ უფლება აყრილი?

უქანასწვლ ათეულ წლებში ჩვენმა ცხოვრებამ ცხად ჰყო მძლავრი სამეურნეო მოძრაობა. ძველი წესი როგორც მიწათ მფლობელობისა ისე მეურნეობისა ადგილს უთმობდა ახალს. ალაგ-ალაგ გაჩნდა უკვე ევროპული ხასიათის მეურნეობა. აი სწორედ ამ მეურნეობამ წამოგვაცენა ჩვენ ფეხზე და მომავალ საქართველოს ხაზინის დაუშრევტელი წყაროც სწორედ ასეთი მეურნეობა უნდა იყოს. ბატონი მინისტრი არ ამჩვენს არც ამ ძლიერს მიმდინარეობას, არც ასეთის ხასიათის მეურნეობას. ეს მათთვის ხელსაყრელი არ არის. დღევანდელი კანონპროექტი არამც თუ აჩერებს არამედ ძირიან ფესვიანათა სთხრის ჩვენი ცხოვრების ამ პროგრესულ მოვლენას. ჩემდა სამწუხაროთ დრო ჩემი შეზღუდულია და არამაქვს საშუალება ისტორიულ პროცესის გაშუქებაში, რომელიც აქ ინება ბანა მინისტრმა, შორს ჩავყვე, რათა ნათელი იყოს ყველასათვის თუ რა განყენებულათ, ჩვენი ცხოვრებისათვის უფხო ფაქტებზე არის აშენებული ბანი მინისტრის შეხედულება და მთელი აგარული რეფორმა.

ახლო წარსულში კი შემდეგი ფაქტი გახლავთ უტყუარი და მთავარი მოვლენა ჩვენ ცხოვრებაში. საქართველომ რუსეთთან შეერთების სიმწვავე იგრძნო მაშინ, როდესაც რუსეთის ნაწარმოები შემოვიდა ჩვენში და დაუწყო მეტოქეობა ადგილობრივს. რკინის გზის გამოყენების შემდეგ რუსულმა იაფმა პურმა მთლათ დასცა ბორბლეულობის მეურნეობა ჩვენში. ჩვენი ქვეყანა, რომელიც

ცნობების მიხედვით არამც თუ იკვებება თაეს, არამედ ზედმეტიც მოკვება, მთლათ დაიშა. რუსულმა იაფმა პურმა ჩვენს და ჩვენ გლეხს მიღობა და დასახლება სალდათის იაფმა მაზარამ შეუცვალა სახლში ჯარხედ ნაქსოვი ჩოხა და შინვე მოთვლილი ნაზადი. შინაური ბაზარიც დაიკეტა ჩვენი ნაწარმოებისათვის და მაშინ დაგვიდა საშინელი ხანა ნამდვილი ეკონომიური კრიზისისა. აი მაშინ დაეღვა ბატონობის გვირგვინი ჩვენს სოფელსა და ქალაქად სოფელ მევაზებს და მაშინ დაეღვა მძიმე ხუნდები ქართველ მეურნეს ჩვენში ბატონა მასშტაბით განმეორდა ის, რაც იყო ევროპაში ამერიკიდან იაფი საქონლის შემოტანის შემდეგ ევროპის ბაზარზე. თქვენ იცით რა ამბავი მოჰყვა ამას ევროპაში: სიმშლილი, სენი, და ქირი, ხალხის გაწყვეტა და არეულობანი, გონებრივი და ზნეობრივი დაქვეითება ახასიათებს მაშინდელს ეპოქას. სისხლითა და გოლგოთით აღინიშნენ მაშინდელი ფურცლები ისტორიისა.

იშვიათი შორუნველობა და განსაკუთრებით ზომების მიღება მოუხდა ყოველ სახელმწიფო ძალას, რომ რამე საშველი მოეძებნა და ასეთ მდგომარეობიდან, ესნა ხალხი.

ჩვენი მდგომარეობა განსაკუთრებით უმწყო იყო. იცით ჩვენ მზრუნველი ხელი არ გვაყვდა: პირიქით მთელი სახელმწიფო აპარატი იყო უცხო და მტერი ჩვენთვის და ჩვენ წინააღმდეგ მომართული. ეკონომიურ განსაკუთრ თან სდევდა დენა პოლიტიკური, ტუქსეა აღმინისტრაციული და ბრძოლა კულტურული. მოგველოდა წაქცევა აღმოფხვრა და გადაგვარება. გამოსავალი ძნელი იყო. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა გზა მოხანა. აი თქვენში, ბატონო, გურიისაში—ხალხი ბათუმს ნობელის ქარხანას მიაწვა ან არა და ნაწილი ხელზე მოსამსახურედ წავიდა. ეს მოვლენა ისეთი დიდი მნიშვნელობისა გახლდათ, რომ ერთი თქვენი ქუჩისა და ტიპის შწერალი, სოციალ-დემ პუბლიცისტი, არწმუნებდა ქართველ საზოგადოებას, რომ „ესნა“ და კაპიტალი ირკუტსკის და მოსკოვის დაქიებიდან მოუვიდოდა საქართველოს.

უმეტეს შემთხვევაში კი სხვა გზას დაადგა ქართველი ხალხი. გამოჩნდენ ისეთი პირობები, რომელთაც შესძლეს მეურნეობის შეცვლა. ჩვენში დაიწყეს გაშენება და დამუშავება ისეთ ნაწარმოებისა, რომელიც ვარემე აზრის მოპოვებასაც შესძლებდა და შემოტანილს ამით ანაზღაურებდა. ტანჯვით და მოხამურის თანგანწირვით იყო აღბეჭდილი ამ პიონერების პირველი ნაბიჯი და ეკლით სავსე მათი გზა. რა გინდ სასტიკი იყოს თქვენი დღევანდელი მსჯავრი, რა გინდ გესლითა და ბოროტი ბოდმით სავსე ბრალდება უვილხოს აქ რაფელ ჩიხლაძემ—თქვენ მაინც ვერ შესძლებთ იმის ამოშლას, ან შეცვლას, რაც ისტორიის პატივისცემით დაუწერია. ისაი ფურცელად, ფაენიშვილი, მიხეილ ერისთავი, ვეზირიშვილი, ყავრიშვილი, ლეონიმე, ჩოლოყაშვილი—ეს სახელები ბევრის მოქმელია ჩვენი მეურნეობის ისტორიაში. მათს მავალითს მიჰყვა გლეხკაცობაც და დღეს ბეწუკლი-შვილები, ჩივაძეები, იანკარაშვილები, გუგუტაშვილები ბატონი არ არიან ამ დიდს საქმიანობაში. ვაჩნდა ახალი მეურნე ვაშლისა, ხილეულობას, ბოსტნეულობის, ვაზისა, თამბაქოს და საქონლის მოშენების საქმეში. ამ მეურნეობის ნაწარმოებმა უკვე მოიპოვა ფარფე გარემე ბაზარი. ჩვენი ბატული ვავიდა საზღვარ გარეთ და ლონდონისა და მანჩესტერის დაზგა ნახა, ჩვენი თამბაქო მოედო შიდა და ჩრდილო ევროპას, ჩვენი ყველი რიგისა და ლიბავის ბაზარადე ავიდა. ჩვენე-ბური ხილეულობა მოსკოვისა და პეტრო-

გრადის ბაზარზე უკვე ჩრდილოვდა ყირიმისა და ბესარაბიის წლის. ამ ახალმა მეურნეობამ წამოგვყენა ეკონომიური განსაცდელისაგან და ცოტათ თუ ბევრათ წელში გავასწორა.

დღესაც და ახლო მომავალშიაც ამას უნდა დაემყაროს ჩვენი სახელმწიფო, რადგან სხვა ჩვენ არაფერი გვაბადია, რაც ვადიოდეს უცხო ბაზარზე და დღევანდელ პოლიტიკურ ეკონომიაში კი უდავო დებულება გვახლავთ: ვერ იარსებებს სახელმწიფო თუ ვასატანი არა აბადია რა.

ამავე მეურნეობა დაარღვია ძველი წესი მიწის მფლობელობისა და შვა ახალი. წავიდა დიდი დავალიანებული მამული და განჩნდა მეურნეობასთან შეწყობილი თავისუფალი. თუ ღალის სისტემას მოსიხსნე მტერი ჰყავდა—ეს გახლავთ არ ბ-ნი ხომერკი, არამედ სწორედ ეს პარაგრესიული მოვლენა ჩვენი ცხოვებისა.

სწორედ ამავე მეურნეობამ შექმნა ახალი კულტურული ძალა ჩვენ სოფელში. ეს ის ძალა გახლდათ რომელიც უდგას სათავეში ყოველ ახალ საქმეს, კომპერატივი იქნებოდა, ბანკი, მწარმოებელი თუ მომხმარებელი საზოგადოება და რომელიც თქვენ აღმოსავლეთ საქართველოში უწყალოდ მოსკეთ და დასტოვებთ სოფელი უმეცრებისა და რევენი ავტორიტარის ანაბრათ. იგი გვერდში უნანსთა მინისტრის ამხანაგი, ყოფილი დიდი კოპერატორი მოღვაწე ბ-ნი კანდელაკი გიზით და აკითხეთ რამდენს პროცენტს ამ ახალი საქრო მუშაკებისა შეადგენდა თქვენგან ათელოსწინებული თავდაზნაურობადამ გამოსული ინტილიგენცია? მთელ ასს—სხენარი ბასუბი არ მოიპოვება. ამავე მეურნეობის პროცესმა ერთნაირი შესწორებაც შეიტანა ჩვენ საზოგადოებრივ შემადგენლობაში და მოსპო წოდება უფრო ადრე, ვიდრე ამას ნოე კორდანი აუწყებდა ჯერ კიდევ ეროვნულ ყრილობაზე. მან შექმნა სოფელში ახალი ტარს მეურნე და მესაკუთრე—რომელიც ან თავდაზნაურობადამ ჩამოიყვანა ან გლეხკაცობიდან ამოიყვანა და ერთ კლასობრივ ინტერესები შეადგულა.

იი ბატონებო ჩვენ რომ თავგამოდებით ვიცავთ—ვიცავთ სწორედ ამ ცხოველყოფელ საქრო ძალას. ისინი კი ვისაც თქვენ, ბ-ნო რაფელ ჩიხლაძე, აგრე სასტიკათ იხსენიებთ—ისინი თქვენთან არიან დღეს. ყველამ ვინც ვერ გაუძლო ცხოვრების სიმძიმეს დიდი ხანია მამულს გამოეთხოვა და თქვენ—სოციალისტების ბანაკში ჩადგა; მიიხდეთ გვერდზე. ასეთი ხალხი ყველანი მანდ არიან: ქიზიყის მოურავი ანდრონიკაშვილი, მფლობელი თავადი წერეთელი, კარგი—ტახტის აზნაური გორდანი და მრ. სხვა. ვინც უფრო გადატკადა-ის ფედერალისტებში მონახეთ. ჩვენ ვიცავთ ხალხს, რომელმაც გასწია-დიდი პატრიოტული საქმე შეინახა დღემდის მამული და რომელიც ან უკვე გადავიდა ახალ მეურნეობაზე ან გადადიოდა მხედ თქვენ არ დაცალეთ და მათი დაცვა—ჩვენ ჩვენ წმინდა მოვალეობათ მიგვჩნია. ამისი არც გვრჩენია არც არავის მოვერიდებით! თქვენ ანგარიშს არ უწყეთ ამ ცხოველყოფელ ძალას, ისე როგორც მთელ საქართველოს და სასტიკათ დამარცხდებით.

ისწავლით ქუვას, ისე როგორც თქვენ სოციალისტებმა ისწავლეთ იმაში, რომ კერძო საკუთრებათ უნდა მისკეთ გლეხს მიწა, მაგრამ ვი თუ გვიან იყოს და ძალიან ძვირად დაუჯდეს ჩვენ ქვეყანას თქვენი მოუფიტებელი ექსპერმენტი!

რას წარმოადგენს ჩვენი ქვეყანა მეურნეობის მხრივ? ეს გიხლავთ სხვა და სხვა ფერადებით აქრულებული ხვევრდი, საცა ადგილ ადგილ მოსიანდა ღია მხარა ნამდვილი ეკონომიური მეურნეობისა, რაცელიც თქვენ ჩააქრო.

(მემდეგი იქნება).

საქართველოს ამბები.

ძველის ხიდის საქმე

28 იანვარს თფილისის სასამართლო პალატის საკასაციო დეპარტამენტში გაიჩნა პოლკ. ლ. გ. შმაგაილოვისა და მ. კუჩარაინცის დამცველთა საკასაციო საჩივარი. თავმჯდომარეობდა სამოსამართლო პალატის თავჯდომარე მღვდლიევი; წევრები: ი. გ. გელოვანი და კ. შ. შნიდერი. ბრალმდებელით იყო სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი ა. ს. გელენბაროვი. დამცველებათ გამოვიდნენ ნაფიცი მსაჯულები კ. დ. ზელენსკი და ა. ა. პაპოვნიანი. პალატამ ხანმოკლე თათბირის შემდეგ გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც საკასაციო საჩივარი უყურადღებოთ დასტოვა. დამცველებმა შუადგომლობა აღძრეს მთავრობის თავმჯდომარის წინაშე სასჯელის პატიების შესახებ.

ბოლშევიკი ქართველები.

როგორც მოსკოვიდან ჩამოსული მდივანი ქართულ საელჩოსი (ბ-ნი კ. წერეთელი) იუწყება ის ქართველები, რომელნიც ძველად ბოლშევიკები იყვნენ და ამჟამად, საბჭოთა რუსეთში მოღვაწეობენ თითქმის ყველანი დიდ თანამდებობაზე არიან, ჯულაშვილს იქ, „მეორე ლენინს“ უძახიან. მისი ავტორიტეტი დიდი და ძლიერია. ესევე ითქმის აბელ ენუქიძის შესახებ, რომელიც არის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი. არიან პეტროგრადში ლორთქიფანიძე, მგელაძე და სხვანი, რომელნიც დიდ როლს თამაშობენ საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობაში და ერთგვარ მიმართულებას აღწევენ მას. რამოდენიმე ქართველი არის აგრეთვე, ჩრდილოეთ კომუნის წევრად და შუკ საპატო ადგილები უკავიათ.

მატარებლის დაჯახება.

28 იანვარს გომისა და აგარას შუაინგლისის საბარგო მატარებელი № 200 დაეჯახა ცარიელ ვაგონს, რომელიც იდგა გომიდან 190 ვერსზე. უკანასკნელი ძლიერ დაზიანდა; დაზიანებულია აგრედვე № 200-ის შემადგენლობა. მატარებელში მყოფი ხალხი უვნებლად დარჩნენ. გზაზე მიმოსვლა შესწყდა 7 საათ. განმავლობაში.

სახაფრების შემოსავალი 1918 წ.

- 1) მთავარი საბაეო (თფილ.)—4088671 მან., 2) ფოთი—1,537,307 მ., 3) ნატანები—128,233 მან., 4) სოხუმი—589,466 მ., 5) სალოლი—171,711 მ. 58 კაპ., 6) ლაგოდეხი—84,848 მ. 08 კ., 7) გულაუთი—81,838 მ., 8) სანაინი—49,656 მ. 46 კ., 9) სოჩა—25,828 მ. 40 კ., 10) ოჩენჩირე—16,172 მ. 25 კ., 11) წნორის წყალი—25,510 მ. 42 კ., 12) გავრა—8,685 მ., 13) ახალი ათონი—3,112 მ. 75 კ., 14) ოზურგეთი—2,657 მ. 74 კ., 15) ანაკლია—232 მ. 27 კ., სულ 6,814,450 მან. 12 კაპ.

სხვა საბაეოებიდან, როგორც მაგალ. აწყური და ყაზბეგი, რომლებიც წლის ბოლოს გაიხსნა, ცნობები არაა.

მასწავლებელთა კრება.

კვირას, თებერვლის 2-ს, საღამოს 6 საათ. ვაკეთა 1 გიმნაზიის დარბაზში დანიშნული საშუალო სკოლების მასწავლებელთა საზოგადო კრება, რომელზეც დასწრება სავალდებულოა. შესავალი კლასიური ქუჩიდან.

სოჩის ოლქი.

სოჩა. იანვრის 30 (საქ. კორეს.) იანვრის 26 შესდგა დიდი მიტინგი რუსთა ეროვნულ საბჭოს საწინააღმდეგო რომლის დაარსებაც განუზრახავს ადგილობრივ მემარჯვე ელემენტებს და მონარქისტებს. საბჭოს დამცველად გამოსულ ოპორტუნისტებს და კონდათ. მიტინგმა ეროვნობა წინააღმდეგ ოპონისა. მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: 1) სოჩის ოლქის დემოკრა-

ტია, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მფარველობის ქვეშ იმყოფება და იცავს მას მოხალისეთა ჯარის დევნა-შეიწროებისაგან. დემოკრატიულ-წესწყობილების ფარგლებში თავისუფლათ სარგებლობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თვითმართებლობით და არავითარი დახმარება ეროვნული ხასიათის ორგანიზაციასაგან მას არ სჭირია; 2) სოჩის ოლქის დემოკრატია არამც თუ არ მიიღებს რუსთა ეროვნულ საბჭოს დაარსებაში მონაწილეობას, არამედ ენერგიულ პროტესტს აცხადებს ყოველგვარ ეროვნულ საბჭოების არსებობის წინააღმდეგ. 3) რუსთა ეროვნულ საბჭოს დაარსება, რაც ადგილობრივ მემარჯვენე ნაციონალისტების თაოსნობით ხდება და რასაც წინ უძღვნის ჩვენი მეგობარი ქართველ დემოკრატიაზე ცილისწამება და საიდუმლოთ შეკავშირება რეაქციის მასულდგმულელებთან ყუბანში, მიმართულია საერთოდ მთელი დემოკრატის საზარალოთ და ეწინააღმდეგება მის ინტერესებს.

საქართველოს პარლამენტი

(სამშაბათი იანვრის 28)

კრება იხსნება 1 ს. 45 წ. ა. ბარათი-შვიდის თავმჯდომარეობით.

მდივანი ჰკითხულობს კომისიებში გადასაცემ კანონპროექტთა სიას და დღის წესრიგს.

მიწათ მოქმედების სამინისტროს შტატი

ე. ანაშვილი (საფინანსო კომ. წევრი) ჰკითხულობს მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა შტატისა და 1918 წლის ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტს. მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებათათვის გადადებულია 1,842,488 მანეთი.

კანონპროექტი მიღებულია უცვლელად.

სამეურნალო წყლები

ე. ანაშვილის (საფინანსო კომ. წევრი) მოხსენებით მიღებულია კანონპროექტი, რომლის ძალით მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებაში გადადებულია 61500 მანეთი იმ წინასწარ მუშაობის საწარმოებლად, რომელიც საქროა მიწერალური წყლების ჩასაბარებლად.

სახ. მოსამსახურეთათვის საჩუქრების მიცემის გაუქმება.

ე. ფირცხადაშვილის მოხსენებით მიღებულია კანონპროექტი, რომლითაც უქმდება 1912 წლის იენისის 9-სა და 1914 წლ. იენისის 28-ს კანონები, რომელთა ძალით სახელმწიფოს მოსამსახურეებს სახალწლო და სააღდგომო საჩუქრები ეძლეოდა.

მომრიგებელ დაწესებულებათა ქვემდებარების გაფართოებისა

რ. არსენიძე (იურიდიული კომ. წევრი) მოახსენებს პარლამენტს კანონპროექტს მომრიგებელ დაწესებულებათა ქვემდებარების გაფართოებისა. კანონპროექტი ფართოდება მომრიგებელ დაწ. უფლებები, მაგ., მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარება სისხლის სამართლის ყველა საქმე, რომელიც არ ეხება დამნაშავეისათვის ღირსების აყრას და შეზღუდვას; სამოქალაქო საქმეებში მომრიგებელ სასამართლოს კომპეტენციის ფარგალი 4000 მანეთმდე გაფართოებული, და სხვ. ამის დამხედვით შეცვლილია არსებული კანონები.

კანონპროექტი მიღებულია უცვლელად.

განსაკუთრებულ რაზმის შტატი.

ე. ანაშვილი (საფინანსო კომ. წევრი) ჰკითხულობს კანონპროექტს შინგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის შტატისა და ხარჯთაღრიცხვის—სპეკულიაციის, კონტრ-ფოლიუტისა და სპორცელობის წინააღმდეგ საბოძოლევლად განსაკუთრებული რაზმის შესანახად ივლისის პოეკლამაც გადადებულია 434,900 მანეთი. კანონპროექტი მიღებულია.

რესპუბლიკის გუბერნიებად დაყოფის გაუქმება

მ. რუსია ჰკითხულობს რესპუბლიკის დაყოფის გაუქმებულად დაყოფა გუბერნიებად და საგუბერნიო დაწესებულებებისა. შინგან საქმეთა სამინისტროსთან არსებდა ერთი ადმინისტრაციის ინსპექტორის და 2 მისი თანამემწის თანამდებობები.

10 მილიონიანი ფონდი

სასწრაფოდ შემოტანილია კანონპროექტი 10 მილიონიანი ფონდის აღდგენისა. ე. ანაშვილი მოხსენებით კანონპროექტი მიღებულია და იმის ძალით უნდა აღდგენილ იქნეს 9,393 221 მან. და 31 კ., რომელიც დახარჯულია უკვე 10 მილიონიანი ფონდიდან.

ქართული ბონების გამოცემა.

ე. ანაშვილი (საფინანსო კომ. წევრი) ჰკითხულობს კანონპროექტს ბონების გამოცემისას. მთავრობას ეძლევა უფლება საქართველოს საქროებისათვის გამოსცეს კიდევ 80 მილ. მანეთის ბონები. საფინანსო და საბიუჯეტო კომისიისთან შეთანხმებით მთავრობას შეუძლია ადერბეიჯანსა და სომხეთსაც მისცეს უფლება ემისიაში მონაწილეობის მიღებისა, საქართველოს მთავრობას უფლება ენიჭება, თუ საქროება მოითხოვს, გამოსცეს 100 მილიონის ქართული ბონები; რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს მთელი ქონებით და ისეთივე გასავალი უქნება, როგორც სხვა დანარჩენ სახის ფულს. კრება იხსნება ნამუდღევს 3 ს. 10 წ.

უცხოეთის ამბები

ტელეგრაფი.

საქართველოს სააგენტოსი. ბოლშევიკების დამარცხება ჩრდილო კავკასიაში.

სოჩა, იანვრის 29. (საქ. კორეს.) დენიკანის შტატი იუწყება: სვიატო-კრესტოვის მიმსართულებით ჩვენი ოპერაცია ხსენებულ სამხედრო პუნქტის აღებით დასრულდა. ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ხელთ იგდო დიდი დავლა: ვაგონები, ავტომობილები, პერკოლანები და ჯავშნიანი ავტომობილები. პრახლადნაის მიმართულებით დავიჭირეთ ქ. გიორგიევსკი და მინერალე-ვოდსკი. იანვრის 20 ჩვენმა ჯარმა დიოქირა კისლოვოდსკი და ესენტუკი. იმავე დღეს დავიჭირეთ სადგური და მთა ბეშტაუ. პიატიგორსკის გარე უბანი კანგლი, ზმიევა, სად. მინერალნია ვოდი, სადაც 600 კაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. მოწინააღმდეგე თავზარდაცემული გარბის და იარაღს და ტრანსპორტს სტოვებს. დავლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არაა.

ბოლშევიკების მზადება ინგლისში.

„ტაიმსი“ იუწყება, რომ ლონდონში 18 იანვარს ბოლშევიკებს კრება ქონდათ. კრებაზე უშვებდნენ მხოლოდ განსაკუთრებულ ბილეთებით. კრებაზე განიხილეს საერთო ვაფიციის საკითხი, როგორც პირველი ნაბიჯი რევოლუციის მოსახდენათ. ბოლშევიკებმა განაცხადეს, რომ მათ მრავალი მიმდევარი ყავთ მაღაროების მუშებში და იმედი აქვთ რკინის გზის და ნავთ-სადგურების მუშების.

გერმანელების პოგრომი ამსტრიაში.

გერმანიის ავსტრიაში, მარბურგში, 27 იანვარს, ამერიკის მისიის გავლის დროს, სამხრეთ-სლავიანთა ჯარმა მარბურგის გერმანელ მცხოვრებთა მიმართ აუწყრელი სისასტიკე გამოიჩინა. ამერიკის მისიის იქ ყოფნის დროს გერმანელებმა მშვიდობიანი დემონსტრაცია მოახდინეს. სლავიანთა ჯარი უეცრათ თავს დაესხა დემონსტრანტებს და ზალბი დაუშინა. მოკლეს 17. 70 მიმემეთ და 100-ზე მეტი მსუბუქათ დასჭრეს. ამერიკის მისიამ ამავე დღეს დასტოვა ქალაქი.

მშვიდობიანობის დამყარება ჩინეთში.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩინეთის შორის საზავა კონფლიქტია დაიწყება თებერვალში.



საქართველოს მთავრობის მხარე

საზინის მოკლევადიან ვალდებულებათა გამოცემა

ფინანსთა სამინისტროს მოწოდება

საქართველოს მთავრობის მხარე

ლენინის მოწოდება.
მოსკოვი, იანვრის 28, „პრავდაში“ დაბეჭდილია ლენინის წერილი, სადაც ის მოუწოდებს ხალხს მთელი ძალით და ენერჯით დაეხმარონ სურსათის და ტრანსპორტის გაძლიერების საქმეში.

გერმანია-პოლონეთის ომი.
ვარშავა, იან. 24, „ვარშავის გაზეთი“ იუწყება, რომ გერმანელმა აღმოსავლეთ ფრონტზე თავი მოუყარეს 60 დივიზიას და ახლო მომავალში აპირებენ შეტევას.

ოფიციალური ცნობა პოლონელების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ: 28 იანვარს, ნაშუადღევს 5 საათზე, პოლონელ 200 ჯარისკაცმა იერიში მიიტანა ვილგელმსდორფზე, პოლონელები დავამარცხეთ და პოლონიელები ვედენეთ. შემდეგ იერიში მივიტანეთ პოლონიეზე, საიდანაც პოლონელები გაიქცნენ და დავიტოვეს 2 ტყვიის მფრქვეველი და ამუნიციის ნეტყველდის რაიონში ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ მიდის. დანარჩენ ფრონტზე სიწყისარება.

პეტროგრადის დაცლა.
პეტროგრადის გაზეთი „რუსკი ლისტაკი“ იუწყება, რომ პეტროგრადს საჩქაროდ სცლიან. რის წაღებაც შეიძლება, მოსკოვში და ნოვოგოროდში გადააქვთ. შემდეგ ქალაქს დასარბევით უტოვებენ ჯარისკაცთა და განთავისუფლებულ ტუსაკ-ავაზაკთ.

ბოლშევიკების გამოსვლა სამხრეთ ამერიკაში

კელნის გაზეთის სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ ბოლშევიკური გამოსვლა ბუენოს-აირსში მხოლოდ შემთხვევით მოხდა მუშების გაფიცვებთან ერთად. არგენტინის მუშებში ბოლშევიკებს ვაჟღენა არა აქვთ.

საზავო კონფერენცია

გერმანიის ახალშენების ჩამორთმევა.

დილის სხდომაზე მოუსმინეს ავსტრიის, ახალ ზელანდიის, იაპონიის და ჩინეთის დელეგატებს. საღამოს სხდომაზე საფრანგეთის ახალშენების მინისტრმა გენრი სიმონმა კონფერენციას ვაჟღენა მისი დეპარტამენტის აზრი საახალშენო საკითხს შესახებ. შემდეგ განხილულ იქნა პრინციპიალური საკითხები ხალხთა ლიგისა და მისი შექმნის შესახებ.

გაზ. „პტი ჟურნალი“ გენრი სიმონის მიერ გამოქვეყნებულ საფრანგეთის საახალშენო მოთხოვნების შესახებ, რომ ტოგო და კამერუნი საფრანგეთს დაუმორჩილდეს, სწერს: თუ ეს ქვეყნები საფრანგეთს გადაეცა, მაშინ ის მოვალე იქნება ფართე ლიბერალური ეკონომიური რეჟიმი დაამყაროს იქ და ადგილობრივი მცხოვრებნი დაიცვას.

გაზეთი „ფორვერტი“ მოკლეთ და გარკვევით სწერს: უნდა ითქვას, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა ძალდატანებით მიღებული გადაწყვეტილება გერმანიის ახალშენების მითვისების შესახებ ეწინააღმდეგება პრეზიდენტ ვილსონის მიერ აღიარებულ პრინციპებს.

ინგლისის მთავრობამ ახს წინათ გამოცხადებული წინააღმდეგობა, რომ გერმანია ლირსი არის აფრიკის სამხრეთ-აღმოსავლეთის ახალშენები დაუბრუნონ. თეთრ წიგნში, რომელსაც ამ წიგნით ამზადებს გერმანიის მთავრობა, აღნიშნულია, რომ ინგლისის ახალშენებშია ცხირათ შეხვდებით ნაწილს.

პოლონეთის საკითხი

ამერიკის პრეზიდენტს, ამერიკის, ინგლისის და იტალიის პრემიერებს და საგარეო მინისტრებს და იაპონიის წარმომადგენლებს ორი სხდომა ჰქონდათ. დილით დმოკოვსკი პილკმა სხდომას ვაჟღენა პოლონეთის მდგომარეობა და მოთხოვნები.

საქართველოს ნორჩმა რესპუბლიკამ შემყიდრობათ მიიღო ცარიელი ხაზინა და საშინელი ფინანსური მდგომარეობა. ამავ დროს იმ პრავდა არა ჩვეულებრივ ხარჯების გარდა, რომელიც დაგვიტორდა სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოსაწყობად რესპუბლიკაში, ჩვენ ვადასახად დავაწვავ რუსეთის ფრონტისა და დაწესებულებათა ლიკვიდაციით გამოწვეული აუარებელი ხარჯი.

ანარქიასთან ბრძოლა კი დიდხანს გვიმოიდა ხელს ისე მაგრად შევსდგომოდით ვადასახადების მოკრფვას, როგორც ამას მოითხოვდა საქმის ინტერესი და თუმცა ამ უკანასკნელ დროს შემოსავალმა იმატა, ჩვეულებრივი ვადასახადები მაინც ვერ დაფარავენ ყველა არა ჩვეულებრივ ხარჯებს.

შემუშავებულია და პარლამენტის მიერ მიღებული მთელი რიგი კანონ-პროექტებისა სახელმწიფოს შემოსავლის გასაძლიერებლად მაგრამ ყველა ამ კანონების ცხოვრებაში გატარება სავსო დროს მოითხოვს.

სახელმწიფოს საქაროებანი კი დაუყოვნებლივ მოითხოვენ დაქაყოფილებას. სხვა არა ჩვეულებრივ მოთხოვნებათა რომ თავი გაანებოთ, ადვილი წარმოსადგენია, რა ფული დაუჯდება რესპუბლიკის ლიკვიდაცია ომით გამოწვეული ხარჯების.

ამიტომ საქაროა დროებით, სანამ ვადასახადები შემოვიდეს სესხის საშუალებით ხაზინის გამაგრება, ხოლო აქაც ჩვენ საკუთარ-თავის, სამშობლოს ერთგულ მოქალაქეთა იმედი უნდა გვქონდეს.

ამ განზრახვით დაადგინა პარლამენტმა სახაზინო ვალდებულებათა გამოცემა არ არის ქვეყანაზე ისეთი სახელმწიფო, რომელიც არაჩვეულებრივ ხარჯების დასაფარავად, სესხს არა მიმართავდეს. აღნიშნული სესხი კი თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკის პირველი სესხია.

მოქალაქენო, თქვენ უკვე იცით, რა რიგ შეღავათიან პირობებშია ვე ტესხი, ვე სახაზინო ვალდებულებანი გამოცემული. იგი მოკლე ვადიანია, სახელდობრ ერთი წლის შემდეგ იქნება ვადახდილი.

იგი სარგებელს იძლევა ნაწილად და ეს სარგებელიც წინ და წინ ეძლევა ვალდებულების მიმცემს არსებულ სახაზინო ვადასახადის გამოუკლებლად.

იგი მიიღება მთავრობის მიერ როგორც საწინდრად ისე სხვა და სხვა ვადასახადებში ნაღდი ფულის მაგიერ. ერთი სიტყვით ვალდებულებანი თავის ღირსებით თითქმის არაფრით განირჩევიან ნაღდი ფულისაგან.

და თუ ასეთი შეღავათიანი პირობები დაუდევით საქართველოს რესპუბლიკის პირველ სესხს საფუძვლად, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მოქალაქენი ხელს შეუწყობს სესხის დაუყოვნებლივ განაღდებას.

საზოგადოების ყოველი კლასი ვალდებული ამ დიად დროს, როცა მკვდრდება საფუძველი ჩვენი სახელმწიფოებრივობის, ნივთიერ დახმარებით ხელი შეუწყოს თავის მთავრობას.

ჩვენი სახელოვანი გვარდია და ჯარი, ხალხის ნამდვილი შეილნი სიცოცხლეს სწირავენ და სწირავენ საქართველოს რესპუბლიკის კეთილ დღეობას; ისტორია ავად მოიხსენებს იმათ ვისაც შეეძლო და ნივთიერი მსხვერპლიც კი არ გაიღო ამავ დიად დანიშნულებისათვის.

ახლა შემთხვევაში ეძლევა შეძლებულ პირებს დაამტკიცონ თავის მამულისადმი სიყვარული და ერთგულება. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახაზინო ვალდებულებათა საზოგადოების ფართე წრეებიც შეიძენენ, რადგან ეს ვალდებულებანი ყველასთვის ხელსაყრელი და ხელმისაწვდომია.

ქალაქის და ერთობის თვითმართელობანი, კომერციები, ყველა საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოვალენი არიან ზნეობრივად ხელი შეუწყონ ამ სესხის საფასვით ვადადებას.

სესხის საფასვით განაღდება ერთხელ კიდევ დაამტკიცებს, რომ საქართველო ნდობით ეპყრობა მის დემოკრატიულ მთავრობას და მარტენებელი იქნება ჩვენი ფინანსურ მდგომარეობის განმტკიცებისა.

მოქალაქენო, ამ სესხის განაღდება თქვენგან არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვს, დაამტკიცეთ მამულის სიყვარული საქმით, დაამტკიცეთ ქვეყანას თქვენი სამშობლოსადმი ერთგულება.

ნუ დარჩება ნურც ერთი მოქალაქე, რომ ვალდებულება არ შეიძინოს. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი.

საქმის მწარმოებელი გ. ახაშიძე.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღე გაზეთ „სალი კლდე“-ზე.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18-31.

კონტორა ქართულ ქარვასლაში, სახახლის ქ. № 5.

გათუვის ქართულად

ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიებს დროვე სქესისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოცხადებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიაში თავიანთი შვილები. აწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:

- 1. სქესი მოსწავლისა,
- 2. რაოდენობა და
- 3. რომელ კლასში სურს შესვლა.

სწავლის უფლება იქნება არა უმეტეს იმისა, რაიც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში. მათ, ვისც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნახევარი სწავლის ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.

ერთად-ერთ სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურნალ

თეატრი და ცხორება-ზე

წელიწადი მთავრდება გამოცემისა

წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მან. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: თფილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწიფეების რიგზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ დილის 9 ს.—საღამოს 7 ს. ფოსტით: თფილისი, რედ. „თეატრი და ცხორება“ იოსებ იმედაშვილს. იქვე მიიღება შემოწირულება ჟურნალის ფონდის სასარგებლოდ. რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 21 იანვრიდან საუბნო სასურსათო კომიტეტში დაიწყება იანვრის, თებერვლის და მარტის სასურსათო ბარათების დარიგება. ბარათები დაურიდდებათ მხოლოდ სარაიონო და ბინის კომიტეტებს, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინონ: 1) ახალი ბინის წიგნები; 2) ახალი ბინის სარეგისტრაციო უწყებანი ორ ფურცელზე გადაწერილი, რომლებიც უნდა შეამოწმონ საუბნო სასურსათო კომიტეტებმა; 3) ძველი სასურსათო ბარათები; 4) პიროვნების ვინაობის მოწმობები. მოწმობად ცნობილია: ა) პასპორტი, ბ) მეტრიკული ამოწერილობა, გ) მოწმობა მილიციის უფროსისაგან მოცემული, დ) მოწმობა ბილეთი, ე) მოწმობები სხვადასხვა ეროვნულ საბჭოებისაგან მოცემული, თუ უკანასკნელთ აქვთ საკონსულო დაწესებულებათა ხასიათი. სამკურნალოები, თავ-შესაფარი ბინები, პანსიონები და სხვა მაგვარი დაწესებულებანი მიიღებენ ბარათებს საბარათო განყოფილებაში.

(2-2)

სასურსათო განყოფილება თფილისის ქალაქის გამგეობისა.